საქმე №330310023006907800
საქმე №3/1187-23

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

09 მარტი, 2023 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ეკატერინე ობოლაძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

მოპასუხე - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საჯარო ინფორმაციის გაცემა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2023 წლის 22 თებერვალს თბილსის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მომართა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელმა მოპასუხე - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ, მოთხოვნებით: ბათილად იქნეს ცნობილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2023 წლის 23 იანვრის № 23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

2023 წლის 23 თებერვალის განჩინებით სარჩელზე დადგენილი იქნა

ხარვეზი, რომლის შესავსებად მხარეს განესაზღვრა 10 დღე განჩინების ჩაბარებიდან. აღნიშნული განჩინება უფლებამოსილ პირს ჩაბარდა 2023 წლის 28 თებერვალს.
2023 წლის 06 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით მომართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:
-ბათილად იქნეს ცნობილი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება ე.წ „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 იანვრის N23/09/03-113 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;
-დაევალოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გადასცეს ა (ა) იპ „მწვანე ალტერნატივას“ მის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N23/09/03-113 განცხადებით მოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაცია, კერძოდ:
-ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი ზოდიდან დეპარტამენტში დღემდე დაფიქსირებული გასაჩივრებისა და დეპარტამენტის მიერ საჩივრებზე რეაგირების პასუხად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით);
-ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 4 ოქტომბრის 21/09/03-97 წერილით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში შესაძლო უკანონო საქმიანობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხმებით;
-ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალში, მოსახლეობის საჩივრების პასუხად და/ან თავად დეპარტამენტის ინიციატივით, სოფლის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ დღემდე განხორციელებული ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;
-ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2022 წლის 16 ნოემბრის 21/09/03-108 წერილით ჭიათურის მუნიციპალიტეტს სოფელ ხალიფაურში წიაღის კანონდარღვევით მოპოვებასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის პასუხად დეპარტამენტის მიერ დღემდე მიღებული ზომების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით;

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ

უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26[2] მუხლის შესაბამისად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები
.
სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მათ თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან დამატებითი მტკიცებულების სახით, გამოთხოვილ

იქნეს სადავო საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს უნდა დაევალოს, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 (ორი) თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 (ხუთი) თვისა.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული საქმის განხილვის ვადა გაგრძელებას 5 (ხუთი) თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-4, მე-12, მე-13, მე-19, 22-24-ე, 26^2-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 177-178-ე, 284-285-ე, 414-ე, 445-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და ამ ეტაპზე ცნობილი იქნეს დასაშვებად;

2. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება, მოპასუხეს გადაეგზავნოთ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები;

3. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან დამატებითი მტკიცებულებების სახით, გამოთხოვილი იქნეს სადავო საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები;

4. მოპასუხეებს დაევალოთ სარჩელზე შესაგებლისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში;

5. ადმინისტრაციული საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთი) თვემდე;

6. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე: **ეკატერინე ობოლაძე**